# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №სყ-8

ქ. მცხეთა

7 ნოემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სტოილ", მისი დირექტორის თეიმურაზ მირესაშვილის სახით, შემდგომში „მომწოდებელი", (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 ივნისის №1235 განკარგულების საფუძველზე) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## ხელშეკრულების საგანი

1.1 910 (ცხრაას ათი) ლიტრი დიზელის საწვავის შეძენა. (CPV: 09134210)

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

## 3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

3.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

3.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხი.

3.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

4.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

4.3 საქონლის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 5. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

5.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ლერი ტყემალაძე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

## 8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამხედრო მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

| „მომწოდებელი" | „შემსყიდველი" |
|---|---|
| შპს „სტოილ" | მცხეთის მუნიციპალიტეტი |
| ს/კ 205169538 | ს/კ 236094196 |
| ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი | ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი |
| ბანკის კოდი: : LBRTGE22 | ბანკის კოდი: LBRTGE22 |
| ა/ა GE76LB0113171202103000 | ა/ა GE93LB0120130269077000 |
| მის: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №1 | მის: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №73 |
| დირექტორი | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე |
| თ. მირესაშვილი | გ. ატაშვილი |